საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის და სასჯელთა აღსრულების კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., №1, მუხ.10) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 25-ე მუხლის:

ა) მე-6 ნაწილიდან სიტყვის „დაენიშნებათ“ შემდეგ ამოღებულ იქნეს სიტყვები „შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში“;

ბ) მე-7 ნაწილის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთის სახით, გაუფრთხილებლობით ჩადენილი და არამძიმე განზრახი დანაშაულისათვის – საერთო რეჟიმის კოლონიაში“;

გ) მე-7 ნაწილის მე-2 და მე-3 აბზაცები ამოღებულ იქნეს, ხოლო მე-4–7 აბზაცები ჩაითვალოს შესაბამისად მე-2–5 აბზაცებად;

დ) მე-8 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში, რომლებსაც პირველად ედებათ მსჯავრი ამ მუხლის მე-4 ნაწილის მე-3 აბზაცში ჩამოთვლილი განზრახი დანაშაულისათვის – განზრახი დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში;“.

ე) მე-10 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „აგრეთვე ამ მუხლის მე-7 ნაწილის მე-2 აბზაცში მითითებული განზრახი დანაშაულისათვის“ და „და კოლონია-დასახლებებისა“.

2. 54-ე მუხლის მე-6 ნაწილში:

ა) სიტყვები „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით (96^1 მუხლი), გარდა ყაჩაღობით ჩადენილი გატაცებისა“ შეიცვალოს სიტყვებით „სხვისი ქონების გატაცებისათვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით (96^1 მუხლი), გარდა ყაჩაღობით ჩადენილი გატაცებისა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (110-ე მუხლის მე-2 ნაწილი)“;

ბ) სიტყვების „გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „მძევლად ხელში ჩაგდებისათვის (133^1 მუხლის პირველი ნაწილი)“;

გ) სიტყვების „(189-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები, 189^1 და 190-ე მუხლების მეორე ნაწილები)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მე-3 ნაწილი), აფეთქებისათვის (228^1 მუხლის მე-2 ნაწილი), ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა), საბრძოლო მასალისა და ფეთქებად ნივთიერებათა უკანონოდ გადაგზავნის, გადაზიდვის, დამზადების ან გასაღებისათვის, აგრეთვე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარების, შენახვის, გადაგზავნის, გადაზიდვის, შეძენის, დამზადების ან გასაღებისათვის (238-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები)“.

3. 54-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი:

„იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ბანდიტიზმისათვის (78-ე მუხლი); ისეთი მოქმედებისათვის, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში (78^1 მუხლი); ყაჩაღობისათვის სხვისი ქონების დაუფლების მიზნით დამამძიმებელ გარემოებებში (96-ე მუხლის მე-2 ნაწილი); სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის ყაჩაღური გზით (96^1 მუხლი); განზრახი მკვლელობისათვის (105-ე მუხლი); ბავშვით ვაჭრობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (127^2 მუხლის მე-2 ნაწილი); მძევლად ხელში ჩაგდებისათვის, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა (133^1 მუხლის მე-2 ნაწილი); უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზაციისათვის ან მასში მონაწილეობისათვის (238^1 მუხლი); ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანისა), საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმით (240-ე მუხლის მე-3 ნაწილი); რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცებისათვის, სატრანსპორტო დაწესებულებებისა და ტვირთის ხელში ჩაგდებისათვის (242^2 მუხლი); სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის (243-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები); ნარკოტიკულ საშუალებათა გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმით, ან დიდი ოდენობით (252^1 მუხლის მე-3 ნაწილი), – სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელის დანიშნული ვადის არანაკლებ ოთხი მეხუთედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ.“

4. 54-ე მუხლის მე-7–10 ნაწილები ჩაითვალოს შესაბამისად მე-8–11 ნაწილებად.

5. 54^1 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) რომელიც მსჯავრდებულია: დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის (104-ე მუხლი, 258-ე მუხლის „გ“ პუნქტი); გაუპატიურებისათვის, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ან რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე მცირეწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მე-4 ნაწილი); ბავშვით ვაჭრობისათვის, რომელიც ჩადენილია ქვენა გრძნობით, ან თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე შედეგი გამოიწვია, აგრეთვე, თუ მას ახლდა ბავშვის უცხო სახელმწიფოში უკანონო გადაყვანა ან იქიდან ბავშვის დაუბრუნებლობა (127^2 მუხლის მე-3 ნაწილი); ადამიანის მოტაცების ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთისათვის (133-ე მუხლი); პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მათ სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (209^1 მუხლი).“.

6. 55-ე მუხლის მე-6 ნაწილის მე-2 პუნქტში:

ა) სიტყვების „(117-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ადამიანის მოტაცების ან თავისუფლების სხვაგვარად უკანონოდ აღკვეთისათვის (133-ე მუხლი)“;

ბ) სიტყვები „მძევლად ხელში ჩაგდებისათვის (133^1 მუხლი)“ შეიცვალოს სიტყვებით „მძევლად ხელში ჩაგდებისათვის, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა (133^1 მუხლის მე-2 ნაწილი)“;

გ) სიტყვების „სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის (243-ე მუხლის პირველი ნაწილი)“ შეიცვალოს სიტყვებით „სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის, თუ გამოყენებულია ძალადობა ან მუქარა, ანდა რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა (243-ე მუხლის მე-3 ნაწილი)“;

დ) სიტყვები „განსაკუთრებით ბოროტი ხულიგნობისათვის (228-ე მუხლის მე-3 ნაწილი)“ ამოღებულ იქნეს.

7. 203^3 მუხლის სანქცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან ჯარიმით ხუთასიდან ათას ლარამდე ან თანამდებობიდან დათხოვნით“.

8. 206-ე მუხლში სიტყვები „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი“ შეიცვალოს სიტყვით „სხვისი“.

II. საქართველოს სასჯელთა აღსრულების კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., №12, მუხ. 202) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვით „საქართველოს“, ხოლო ამოღებულ იქნეს სიტყვები „სხვადასხვა კოლონია-დასახლებაში ათავსებენ: მსჯავრდებულებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენის შესაბამისად გაგზავნილნი არიან გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში; მსჯავრდებულებს, რომლებიც სასამართლოს განაჩენის შესაბამისად გაგზავნილი არიან განზრახი დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში; ამ კოდექსის 66-ე მუხლით გათვალისწინებული წესით იმ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებებში გადაყვანილ მსჯავრდებულებს, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას“.

2. 22-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებად, განზრახი დანაშაულის ჩამდენ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებად, იმ პირთათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებად, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას“.

3. 27-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. 45^1 მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ყველა სახეობის კოლონია-დასახლებებში“.

5. 47-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში ამანათების, გადაცემისა და ბანდეროლების რაოდენობა, რომელთაც მსჯავრდებულები იღებენ, შეუზღუდავია“.

6. 48-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში“.

7. 52-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პირებს, რომლებიც სასჯელს იხდიან ყველა სახეობის შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებებში, აგრეთვე,“.

8. 59-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „კოლონია-დასახლებებში“.

9. 64-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამოღებულ იქნეს, ხოლო მე-3 ნაწილი ჩაითვალოს მე-2 ნაწილად.

10. 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 აბზაცი და მე-3 ნაწილი ამოღებულ იქნეს, ხოლო მე-4 ნაწილი ჩაითვალოს მე-3 ნაწილად.

11. 68-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „კოლონია-დასახლებიდან იმ სახის რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სასჯელის მოსახდელად, რომელიც მათ წინათ განუსაზღვრა სასამართლომ, ხოლო ის პირები, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის ასეთი პირებისათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში გაგზავნით, განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებულნი ასეთი პირებისათვის განკუთვნილ კოლონია-დასახლებაში გაგზავნით-საერთო რეჟიმის კოლონიაში“.

III. შრომა-გასწორების კოლონია-დასახლების რეჟიმი ძალაში დარჩეს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ამ კანონის ამოქმედების დღისათვის მსჯავრდებულნი არიან თავისუფლების აღკვეთით და დანიშნული სასჯელის მოსახდელად იმყოფებიან შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში ან არ არიან მსჯავრდებულნი, მაგრამ ჩადენილი აქვთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის პირველი და მე-2 აბზაცებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, რისთვისაც სასამართლოს მიერ შეიძლება შეეფარდოთ თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შესაბამის შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებაში მოხდით.

IV. ამ კანონის III მუხლში მითითებული შრომა-გასწორების კოლონია-დასახლების რეჟიმი

შენარჩუნებულ იქნეს იმ პირობების დაცვით, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე იყო გათვალისწინებული საქართველოს სასჯელთა აღსრულების კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

V. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **ედუარდ შევარდნაძე**

თბილისი,

1998 წლის 15 ოქტომბერი.

№1649 – IIს